



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

## მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 19 მაისი, 2017 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: Frontlineclub Georgia

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. თამაზ ვაშაკიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
2. ნანა ფიროსმანაშვილი - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
3. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერჯო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
4. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
5. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
6. ვახტანგ ზარქუა - ენერჯოეფექტურობის ფონდი
7. ელენე გვილავა - ენერჯოეფექტურობის ცენტრი საქართველო
8. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
9. ნანა მეფარიშვილი - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
10. გიორგი ძამუკაშვილი - ფონდი ადგილის დედა

## განსახილველი საკითხები:

- ✚ ქსანი - სტეფანწმინდის 500კვ ხაზის გაყვანის შესახებ. ფასანაურის მოსახლეობის ოფიციალური წარმომადგენელი, (ბადრი დავითური).
- ✚ საქართველოს მთავრობის მიერ გასხვისებული ენერგოგენერაციის ობიექტების დღევანდელი ტექნიკური მდგომარეობა.
- ✚ ენერგომატარებლებზე ტარიფების მომატების შესახებ.
- ✚ საქართველოში ვადაგასული და ფალსიფიცირებული პესტიციდების მონიტორინგი და გარემოს დაზიანებების რისკების ანალიზის შესახებ. (ნანა ფიროსმანაშვილი)
- ✚ საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული საშენი მასალების ეკოლოგიური სისუფთავის შესახებ. (ნანა მეფარიშვილი).
- ✚ მოწვეული სტუმარი: ქალბატონი ჩერილ ქრუზი, პოლიტიკური კონსული, კანადის საელჩო ანკარაში.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნეს ჯგუფის კოორდინატორებმა და დამსწრეებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად, ჯგუფის კოორდინატორმა განიხილა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს, მთავარი, 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოებას. როგორც მან აღნიშნა, სტეფანწმინდის (ყაზბეგის) მახლობლად მიმდინარეობს რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელთა გეგმიური ჯამური დადგმული სიმძლავრე შეადგენს 400-500 მგვტს და ხაზის სიგრძე დაახლოებით 100 კმ-ია. მან საკითხზე სამსჯელოდ ჯგუფის წევრებს წარუდგინა მოწვეული სტუმარი ბ.ნ-ი ბადრი დავითური, რომელმაც ისაუბრა ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებაზე. როგორც მან ხაზგასმით აღნიშნა, მოსახლეობა წინააღმდეგია ახალი ხაზის აშენების და ითხოვენ ალტერნატიული გზების მოძიებას. მათი მტკიცებით, არსებობს გეოლოგიური დასკვნა, რომელიც კონკრეტულ ადგილზე კრძალავს გადამცემი ხაზების დამატებას, ამასთანავე რამდენადაც მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები გადის საცხოვრებელი სახლების თავზე, მოსახლეობას აქვს შიში, რომ ეს დააზიანებს მათ ჯანმრთელობას. გარდა ამისა, ჭრიან ხეებს და მთებს, რაც აზიანებს გარემოს და ქმნის მეწყერის საფრთხეს. მისი თქმით, მოსახლეობამ სამინისტროს ასევე შესთავაზა ალტერნატიული გზა, რის განხილვაზეც უარი მიიღეს.

„ენერგოეფექტურობის ფონდი“-ს წარმომადგენელმა ჯგუფს შესთავაზა სასამართლოში შეიტანონ სარჩელი და ამ გზით იმუშაონ პრობლემის მოგვარებაზე. ორგანიზაციის „ადგილის დედა“ წარმომადგენელმა გააჟღერა ინიციატივა აღნიშნულ საკითხზე მოეწყოს კონფერენცია, სადაც მოწვეული იქნება ყველა დაინტერესებული მხარე: მთავრობის, სამოქალაქო სექტორის, საექსპერტო წრეების წარმომადგენლები და იმსჯელებენ საკითხზე. შემდგომ ამისა, დაიგეგმოს კონკრეტული აქტივობები. შესაძლოა, ასევე მომზადდეს კონკრეტული დოკუმენტი, სადაც დაფიქსირდება მხარეთა პოზიციები, შედეგები და გაიწერება რეკომენდაციები.

შემდგომ საკითხად მოწვეულმა სტუმარმა, კანადის საელჩოს პოლიტიკურმა კონსულმა ანკარაში, ისაუბრა ორგანიზაციის საქმიანობაზე და აღნიშნა, რომ ისინი დაინტერესებულნი

არიან გარემოს დაცვითი და კლიმატის ცვლილებების საკითხებით და აქვთ თანამშრომლობის სურვილი საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. გარდა ამისა, ის წარმოადგენს ფონდს, რომელიც გასცემს მცირე გრანტებს. ჯგუფის წევრებმა წინადადებით მიმართეს სტუმარს კონფერენციის მხარდაჭერის თხოვნით. თავის მხრივ, ფონდის წარმომადგენელმა ითხოვა დრო, რათა დააზუსტოს მათი თხოვნის განხორციელების შესაძლებლობა.

მოწვეული სტუმრის ინფორმაციით, სექტემბერში იგეგმება კონფერენცია გარემოს დაცვის საკითხებზე, სადაც მოწვეულნი იქნებიან, როგორც საქართველოს მთავრობის წევრები, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

შემდეგ საკითხად ჯგუფმა განიხილა საქართველოში ვადაგასული და ფალსიფიცირებული პესტიციდების მონიტორინგი და გარემოს დაბინძურების რისკები. ჯგუფის კოორდინატორმა, ორგანიზაციის „ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აქვს მომზადებული წერილი გარემოს დაცვის მინისტრის სახელზე, რომელსაც გაავრცელებს ჯგუფში და განხილვის შემდეგ, შეჯერებულ ვერსიას ჯგუფის სახელით გააგზავნის სამინისტროში. ჯგუფმა შესთავაზა წერილი გაიგზავნოს ასევე ჯანდაცვის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებისთვისაც.

დროის სიმცირიდან გამომდინარე, საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული საშენი მასალების ეკოლოგიური სისუფთავის შესახებ საკითხის განხილვა გადაიდო შემდეგი შეხვედრისთვის.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.